ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/55359-16 13. 06. 2011 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ბელიაშვილის ჭუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური ობიექტი – IV კლასი (რისკის მაღალი ფაქტორით) ვარგისად აღიარებაზე (ექსპლუატაციაში მიღება) უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ბელიაშვილის ჭუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

სართულის გეგმა –9.95 ნიშნულზე

„6¹ -7¹" და „8¹ -9¹" მონაკვეთებში არსებული ოთახის ფართების ნაწილი შეცვლილია და სივრცით, რის გამოც „5¹ -12¹"მონაკვეთში შეცვლილია ფასადი (კარებსა და ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი).
„8¹-8¹" ღერძზე დამატებულია კარები.
„7¹ -8¹" მონაკვეთში კიბეზე დამატებულია ბაქანი.
„1¹ -2¹" მონაკვეთში დამატებულია ღიობი.
„12¹-12¹"ღერძზე შეცვლილია მოაჯირის კუთხის ფორმა.

სართულის გეგმა –6.25 ნიშნულზე

„7¹ -8¹" მონაკვეთში ოვალური კედელი შეცვლილია სწორი კედლით, რომელიც გადაწეულია ოთახის ფართისაკენ და აღნიშნულ სივრცეში მოწყობილია აივანი და კარები.
„8¹-8¹" ღერძზე დამატებულია კარები.
„3¹-6¹" მონაკვეთში „6¹-6¹"ღერძზე მოწყობილია დამატებითი ფართი დაახლოებით 14მ².
„1¹-2¹" მონაკვეთში „ლ¹-ლ¹"ღერძზე კიბის უჯრედის ქვევით მოწყობილია დამატებითი ფართი დაახლოებით 13მ².

სართულის გეგმა –3.80 ნიშნულზე

„6¹-6¹" ღერძზე დამატებულია ფრამუგა.
„თ¹ -კ¹" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი.
„3¹ -6¹" მონაკვეთში დამატებულია აივანი, ჰფრამუგის ნაცვლად მოწყობილია ვიტრაჟი.
„8¹-8¹" ღერძზე დამატებულია ფრამუგა.
„8¹ -12¹" მონაკვეთში ტერასაზე დამატებულია 5 დეკორატიული კონსტრუქცია გამწვანებით.
„11¹-11¹"ღერძზე ღიობში დამატებულია კარები და ფრამუგას მონაცვლებული აქვს ადგილი.

პირველი სართული
„11¹ -12¹" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა და კარი.

ტრანსფორმატორის გვერდით მოწყობილია ბაქანი მოაჯირით რომელიც გასულია წითელი ხაზიდან.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, . ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ·შ.პ.ს. „ჰოტელ კრუიზი"-ს (ID: 232553019) ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ არსებული მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური ობიექტი – IV კლასი (რისკის მაღალი ფაქტორით) ვარგისად აღიარებაზე (ექსპლუატაციაში მიღება) ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/55359-16 13.05.2011წ. განცხადება.
№წ-12/55359-16 16.05.2011წ. სამსახურის უფროსის ბრძანება.

უფროსის პირველი მოადგილე [illegible]რიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ 1 2 ჰ 2 - 11 12 10 2011წ.

დადგენილება №000159
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

ქ.თბილისი, შარტავას 7

12.10.2011წ.

მქ. სამსახურის უფროსმა სვიად კერვალიშვილმა განიხილა 2011 წლის 6 ოქტომბრის №000159 შემოწმების აქტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, შედგენილი შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ს (მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ) მიმართ, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 19 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე კანონის 23-ე მუხლის "ე" პუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან მათი შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.ა. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/75 18.01.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით:

სართულის გეგმა -9.95 ნიშნულზე: „6ა -7ა" და „8ა -9ა" მონაკვეთებში არსებული ოთახის ფართების ნაწილი შეცვლილია ღია სივრცით, რის გამოც „5ა -12ა" მონაკვეთში შეცვლილია ფასადი. (კარებსა და ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი). „8ბ-8ბ" ღერძზე დამატებულია კარები. „7ა -8ა" მონაკვეთში კიბეზე დამატებულია ბაქანი. „1ბ -2ბ" მონაკვეთში დამატებულია კიბე. „12ა-12ა"ღერძზე შეცვლილია მოაჯირის კუთხის ფორმა.

სართულის გეგმა -6.25 ნიშნულზე: „7ბ -8ბ" მონაკვეთში ოვალური კედელი შეცვლილია სწორი კედლით, რომელიც გადაწეულია ოთახის ფართისაკენ და ამით შემცირებულია სივრცეში მოწყობილია აივანი და კარები. „8ბ-8ბ" ღერძზე დამატებულია კარები. „3ბ-6ბ" მონაკვეთში „ნბ-ნ" ღერძზე მოწყობილია დამატებითი ფართი, დაახლოებით 14მ². „1ბ-2ბ" მონაკვეთში „ლა-ლბ" ღერძზე ქობის უჯრედის ქვეშ მოწყობილია დამატებითი ფართი დაახლოებით

სართულის გეგმა -3.80 ნიშნულზე: „6ა-6ა" ღერძზე დამატებულია კარები. „ნ-ნ" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟი. „3ა -6ა" მონაკვეთში „8ბ-8ბ" ღერძზე მოწყობილია ვიტრაჟი.

ასევე, 2 ფრაქციის საცდელად

დამატებულია ფრამუგა. „8ა -12ა" მონაკვეთში ტერასაზე დამატებულია 5 [illegible]ება. „11ა-11ბ"დერძსე ღიობში დამატებულია კარები და ფრამუგას [illegible]ებული აქეს ადგილი.

პარველი სართულზე „11ა -12ა" მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა და კარი. [illegible]ულია წითელი ხაზები.

2011 წლის 6 ოქტომბერს "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 19 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000159 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, რომელიც მხარის წარმომადგენელს მოქ. გიორგი აბრამიძეს (პირადი №01025009315) ჩაბარდა 2011 წლის 6 ოქტომბერს. საქმეშია, მინდობილობა №1/10, გაცემული შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ს მიერ 04.10.2011წ.; მხარის №12/118330-16 13.09.2011წ განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ს მიერ ჩადენილია "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის 23-მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, კინოსტუდიის მიმდებარედ შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/75 18.01.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტით, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, მე-13 მუხლის მე-14 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-17 პუნქტით, მე-13 მუხლის მე-18 პუნქტით, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტითა და 23-ე მუხლის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ის დაევალოს, "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდ[illegible] შ.პ.ს. "ჰოტელ კრუიზი"-ის დაევალოს, შესაბამისი გადახდის [illegible]ენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით "დაკისრებულის ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში (დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში) დადგენილებით განისაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსი ზ. კერვალიშვილი

